შეთანხმება №2019-054/1

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში №2019-054

ცვლილებებისა და შეწყვეტის განხორციელების თაობაზე

ქ. თბილისი 11 ივლისი, 2019 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ჯი-თი მოტორს“** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“, ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მარიამ კვიციანის მოხსენებითი ბარათის (N4678-07; 04/07/2019) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2019 წლის 28 მარტის №2019-054 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 999.44 (ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 44 თეთრი) ლარს.“

2. „მხარეები“ ვთანხმდებით, რომ 2019 წლის 28 მარტს გაფორმებული №2019-054 ხელშეკრულება შეწყდეს 2019 წლის 11 ივლისიდან.
3. „მხარეები“ ვადასტურებთ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის ერთმანეთის მიმართ არ გაგვაჩნია ფინანსური ან სხვა რაიმე სახის ვალდებულება.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ელექტრონულად ხელმოწერისთანავე, მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებასთან №2019-054 და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე 1 (ერთი) ელექტრონულ ეგზემპლარად და ინახება როგორც „შემსყიდველთან“, ასევე „მიმწოდებელთან“

შემსყიდველი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	მიმწოდებელი: მხრივ, შპს „ჯი-თი მოტორს“
სახალხო დამცველის პირველი მოადგილე თამარ გვარამაძე	გენერალური დირექტორი თემურ უსტიაშვილი

Public Defender Office of Georgia
Digitally signed by Public Defender Office of Georgia
Date: 2019.07.11 10:07:42 +04'00'

JI-TI MOTORS LLC
Digitally signed by JI-TI MOTORS LLC
Date: 2019.07.11 11:34:27 +04'00'